ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 184

"9" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (გმირ კურსანტთა ქ. №22, ს/კ №01.11.05.011.071.01.500) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №5/23024 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა ქ. №22-ში, ს/კ №01.11.05.011.071.01.500 რეგისტრირებული ფართი, შემდგომში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის გადასაცემად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი